პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი კვირა 16 აგვისტო № 189 (18131) ფასი 2 კაპ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ, ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1980-81 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეო-საბაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური სიგელებით დააჯილდოვეს:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

1. აბაშის რაიონი
2. ბარდავნის რაიონი
3. ზესტაფონის რაიონი
4. ლენტეხის რაიონი
5. მახარაძის რაიონი
6. სამტრედიის რაიონი
7. ჩხოროწყუს რაიონი
8. გორის რაიონის სოფელ ტყვიავის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა
9. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობა
10. დუშეთის რაიონის სოფელ მღელთის კოლმეურნეობა
11. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა
12. მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის ი. მ. სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობა
13. საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა
14. ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა
15. ქ. სამტრედიის ვ. კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა
16. აბაშის რაიონის აბაშის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანება
17. გარდაბნის რაიონის სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა
18. საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი
19. აბაშის რაიონის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა „ხეჯუნა“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲛᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲮᲕᲔᲚᲝ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐ — ᲛᲐᲚᲐ ᲐᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲗᲕᲔᲚᲓᲐ. ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲘᲒᲘ ᲬᲕᲠᲘᲚ-ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲝᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲐ. ᲬᲔᲚᲡ ᲤᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲜᲓᲐ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲖᲐᲛᲗᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ-ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲓᲐ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲡ:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲛᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲮᲕᲔᲚᲝ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲙᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐ — ᲛᲐᲚᲐ ᲐᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲗᲕᲔᲚᲓᲐ. ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲘᲒᲘ ᲬᲕᲠᲘᲚ-ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲝᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲐ. ᲬᲔᲚᲡ ᲤᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲜᲓᲐ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲖᲐᲛᲗᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ-ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲡ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

1. ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
2. ᲑᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
3. ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
4. ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲨᲔᲯᲐᲠᲣᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ. მოწინავე მუშაკებმა და კომუნისტური შრომის დამკვრელებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი — შვიდი ნოემბრისათვის შეასრულონ პირადი წლიური გეგმები. ახლა საწარმოში დიდი ყურადღება ეთმობა ხალხისათვის განკუთვნილი საჭონლის გამოშვებას. მისი წარმოება ერთ წელიწადში ფულადი გამოხატულებით მილიონ მანეთს მიაღწევს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კომუნისტური შრომის დამკვრელი მღარავი მ. ხვიჩია; მოწინავე მუშები — ამწყობი ზეინკლები ი. ზერეკიძე (მარჯვნივ) და რ. გორდეზიანი.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ტექსტი და ფოტო.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲡᲙᲙᲞ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲡᲙᲙᲞ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ მიერ მიღებულ და საგარეო პოლიტიკის ფარგლში დასახული ამოცანების განხორციელებით გადაწყვეტა, ნათქვამია დადგენილებაში, მოითხოვს ამჟამად პარტიული ხელმძღვანელობის ეფექტიანობა, გაუმჯობესდეს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის სტილი და მეთოდები. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებელი ხდება კიდევ უფრო სრულყოფილ შესრულების კონტროლი და შემოწმება, როგორც პარტიის ორგანიზატორული მუშაობის უმნიშვნელოვანესი დადგენილი ნაწილი.

ვ. ი. ლენინს კონტროლის სწორი ორგანიზაცია სოციალისტური დაჯანების ერთ-ერთ უცილობელ პირობად მიაჩნდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფუნდამენტურ მითითებას, რომ შეფასდეს და გადაწყვეტილების რეალური შესრულება. სწორედ ეს ბოლს დასახული ამოცანების წარმატების განხორციელების საწინდარი.

შესრულების კონტროლისა და შემოწმების ძირითადი პოლიტიკური მიმართულებაა პარტიის ორალური ხაზის ხორცშესხმა. ამკიდრებს რა ლენინურ ტრადიციას მუშაობაში, პარტია შესრულების კონტროლს და შემოწმებას მიიჩნევს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების აპარატის ყველა რგოლში ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების ნაკად საფეხურებად. „მაგრამ პასუხისმგებლობა მისი პარტიული, ლენინური გაგებით მუდამ კონტროლი ერთად გვევლინება“ — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი.

შესრულების კონტროლისა და ორგანიზაციის სოციალისტური ორგანიზაციის მუშაობაში. სამეურნეო საქმიანობის ბევრი ნაკლი გამოწვეულია კონტროლის მწყობრიდან სრულ უქონლობა, ხელმძღვანელობის ქაოტურ სტილით. ბევრად შესრულების შემოწმება ზედაპირია და მხოლოდ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების ბილონ პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების, საკუთარ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული აპარატის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და მათი შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლი. ყურადღება მიპყრო იმას, რომ საჭიროა ოპერატიული და გეგმაზომიერი ხასიათი მიენიჭოს შესრულების ქმედითს შემოწმებას, უზრუნველყოთ, რომ ამ მუშაობაში ფართო მონაწილეობას იღებდნენ პარტიული აქტივი და სპეციალისტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შესრულების კონტროლისა და შემოწმების ქმედითობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პარტიული დოკუმენტების პროექტების მომზადების ხარისხზე, რომლებიც უნდა მუშავდებოდეს ცხოვრების მოვლენების, პარტიული მუშაობის პრაქტიკის ყოველმხრივი და ღრმა შესწავლის საფუძველზე, ითვალისწინებდეს კომუნისტთა და უპარტიოთა აზრსა და წინადადებებს, მშომელთა წერილებს, ეყრდნობოდეს პარტორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ინიციატივას და მოწონავე თაოსნობებს. ყოველი დადგენილების პროექტი უნდა შეიცავდეს ზუსტ მითითებებსა და ამოცანებს. სახავდეს მათი გადაწყვეტის გზებსა და ხერხებს, განსაზღვრავდეს კონკრეტულ ვადებს და დასაბუთ ღონისძიებათა შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აწიებს შესრულების კონტროლისა და შემოწმების დონის ამაღლებას პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებსაც უმთავრესი როლი აკისრიათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში. პირველადს პარტორგანიზაციებში უნდა შეიქმნას მაღალი მომთხოვნელობისა და საქმიანი მიდგომის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის ვითარება. პარტიულ კრებებზე, პარტკომბიუსა და პარტბიუროების სხდომებზე რეგულარულად უნდა მოვისმინოთ კომუნისტთა ანგარიში და ინფორმაცია მიღებულ დადგენილებათა რეალიზაციისათვის მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, აქტიურად დავუჭიროთ მხარი მათს ინიციატივას და შემოქმედებითს თაოსნობებს, საქმიან წინადადებებსა და შენიშვნებს.

განხილულ უნდა იქნეს საკითხი პარტორგანიზაციების მიერ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების კომისიათა მოქმედებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომისიას, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულ პარტიულ კომისიებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ კონტროლის შემდგომ გაძლიერებას, კადრების დისციპლინის და პასუხისმგებლობის ამაღლებას პარტიულ გადაწყვეტილებათა უცილობელი შესრულებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაეგალათ წარმართონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობა იმ საკონტროლო ფუნქციების უფრო აქტიური განხორციელებისათვის, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციით აქვთ დაკისრებული.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები მოწოდებული არიან უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესის რეალიზაცია, რომელიც საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს ეხება, მკაცრად გაუწონონ კონტროლი საბჭოთა კანონებს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულებას.

დადგენილება ავალებს უწყებათა-სამინისტროების, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად აამაღლონ სამართველო აპარატის ყველა რგოლის კადრების პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის დირექტივების, ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებისათვის, მიიღონ ზომები საშემსრულებლო დისციპლინის განსამტკიცებლად, კონტროლის მწყობრი სისტემის შესაქმნელად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კონტროლის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ უშუალოდ მინისტრებს, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს. არის წინადადება გაიზარდოს კოლეგიების როლი კონტროლის უზრუნველყოფის საქმეში, სისტემატიურად იქნეს განხილული კოლეგიების სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციის საკითხები.

უწყება-სამინისტროებისა და სამეურნეო ორგანოების პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ მინიჭებული უფლება და კონტროლი გაუწიონ აპარატის მუშაობას პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად, გადაჭრით ებრძოლონ ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების ფაქტებს, გააძლიერონ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, მიღებულ დადგენილებათა რეალიზაციისათვის.

პარტიულმა კომიტეტებმა ყოველნაირად უნდა განავითაროონ და გააქტიურონ პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობა, რათა გაძლიერდეს კონტროლი კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების, შრომის კანონმდებლობის დაცვის, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისადმი, მშრომელთა ყოფაცხოვრებისა და შრომის ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს, ადგილობრივ სახალხო კონტროლის ორგანოებს რჩევა მიეცათ უფრო სრულად გამოიყენონ შესაძლებლობანი, რათა ჩაბმან მშრომელთა ფართო მასები საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსადმი კონტროლის უშუალო განხორციელებაში.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან უნარიანად წარმართონ საკონტროლო ორგანიზაციების საქმიანობა და გააერთიანონ მათი მეცადინეობა, აღმოფხვრან ისეთი პრაქტიკა, როცა ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულებას სულს არ ათქმევინებენ გაუთავებელი შემოწმებებითა და რევიზიებით. დასახულია წინადადება შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს პარალელიზმისა და დუბლირების აღკვეთას შემოწმებათა მოწყობაში, განამტკიცებენ სახალხო კონტროლის ორგანოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიების, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბების, პროფკავშირულ ორგანიზაციათა კომისიების კავშირს მუშაობაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიულ კომიტეტებს გააძლიერონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ყურადღება შესრულების კონტროლისა და შემოწმების საკითხებისადმი. მიიჩნიონ ამ მუშაობის ფართო საჯაროობა უცილობელ პირობად, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლის ეფექტიანობის გაძლიერებას, მშრომელთა აქტიურ ჩაბმას წარმოების, საზოგადოების მთელი საქმეების მართვაში. ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქციები მოწოდებული არიან ყოველმხრივ გააშუქონ, თუ როგორ ასრულებენ შრომითი კოლექტივები პარტიისა და მთავრობის დირექტივებს, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, საინტერესოდ და გასაგებად გვიჩვენონ კონტროლის ყველაზე ეფექტიანი ფორმები და მეთოდები, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკა წარმოშობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების პროცესში.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲓᲐ Შ. ᲙᲐᲜᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ Ვ. ᲘᲐᲠᲣᲨᲔᲚᲡᲙᲘᲡ

14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ყირიმში შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ს. კანიას და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. უ. ჩერნენკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი.

შეთანხმებული კომუნიკე გამოქვეყნდება. (საკდესი).

Ს. ᲙᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ Ვ. ᲘᲐᲠᲣᲨᲔᲚᲡᲙᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲜ

15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ სამშობლოს გაემგზავრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული თავდაცვის მინისტრი ვ. იარუზელსკი. რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მეგობრულ სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვ. რუსაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა ხალხის სახელით ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა გულითადი მილოცვის დეპეშა გაუგზავნეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენს და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს ამხანაგ ლი დენ ოკს კორეის განთავისუფლების 36-ე წლისთავის გამო.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘᲡ Შ. Ვ. ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ მეცნიერების განვითარებაში, მეცნიერული კადრების მომზადებაში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შოთა ვასილის ძე ძიძიგური დაჯილდოვდეს **ოქტომბრის რევოლუციის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 14 აგვისტო.

16 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲐᲕᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ საბჭოთა არმიის ოფიცერთა საოლქო სახლში გამართა დედაქალაქის მშრომელთა და თბილისის გარნიზონის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს მიეძღვნა.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ველიჯანაშვილმა.

მოხსენება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა სამხედრო მფრინავმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა გ. ფედერიაკოვმა.

საწარმოს კოლექტივმა შეასრულა ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით ახალი ხუთწლედის პირველი წლის შვიდი თვის გეგმა. მოწინავე მუშაკებმა და კომუნისტური შრომის დამკვრელებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი — შვიდი ნოემბრისათვის შეასრულონ პირადი წლიური გეგმები. ახლა საწარმოში დიდი ყურადღება ეთმობა ხალხისათვის განკუთვნილი საჭონლის გამოშვებას. მისი წარმოება ერთ წელიწადში ფულადი გამოხატულებით მილიონ მანეთს მიაღწევს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კომუნისტური შრომის დამკვრელი მღარავი მ. ხვიჩია; მოწინავე მუშები — ამწყობი ზეინკლები ი. ზერეკიძე (მარჯვნივ) და რ. გორდეზიანი.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ტექსტი და ფოტო.



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქი. საბჭოთა საჰაერო ფლოტმა, რომელიც რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად შეიქმნა,

ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘ

ᲙᲐᲡᲐᲠᲘ. (ᲮᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). რაიონის პარტიული ორგანიზაციების მდივნების სკოლის მორიგ მეცადინეობაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, თემაზე „პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად“ მოხსენება გააკეთა პარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვალიაშვილმა.

დამსწრეთ მოისმინეს აგრეთვე საუბრები: პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ა. ბოგველისა — „სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“ და საერთო განყოფილების გამგის ე. სიდამონიძისა — მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება და პარტიულ დოკუმენტებზე მუშაობა.“.

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. (ᲮᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). პარტიის ბორჯომის რაიკომში გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეების მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა.

საბჭოთა საქართველოს იუბილეს დღეებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული მითითებებისა და რჩევა-დარიგებების განსახორციელებლად სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ამოცანებზე ისაუბრა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ჯ. ჩხიკვაძემ.

წარმოების რეზერვების ამოქმედებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების მიზნით პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ სემინარის მონაწილეებს მოუთხრო ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ვ. ჩიტაშვილმა.

„პარტიულ კრებაზე კომუნისტების ანგარიშების მომზადებისა და განხილვის პრაქტიკა“ — ასეთი იყო ხორცისა და რძის კომბინატის პარტბიუროს მდივნის შ. კვარაცხელიას საუბრის თემა.

● ●

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ (ᲮᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). პარტიის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „თანამედროვეობა და ტრადიცია“. იგი მოაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა სოციალურ-კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრმა, ახალი წესჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკურმა კომისიამ და პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტმა.

თანამედროვე ტრადიციების დამკვიდრების საკითხებზე სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ რეკომენდაციები მიიღო.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲜ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1295“ ᲓᲐ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1296“

ᲡᲐᲥᲐᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1981 ᲬᲚᲘᲡ 12 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1295“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1981 ᲬᲚᲘᲡ 13 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1296“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

● ●

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲨᲘ

1981 ᲬᲚᲘᲡ 4-12 სექტემბერს ბელორუსიის, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე და ბალტიის ზღვის აკვატორიაში სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის ხელმძღვანელობით დაგეგმილია მოეწყოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯარებისა და ფლოტის ძალების წვრთნა. წვრთნა ეწყობა სახეობათა და გვარეობათა ჯარების შენაერთებისა და ნაწილების შეთანხმებული საბრძოლო თანამოქმედების სრულყოფის მიზნით.

წვრთნაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების ოპერატიული შტაბები, შენაერთები და ნაწილები.

ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲝᲛᲘᲗ ᲒᲛᲝᲑᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

მთელ პლანეტას მოედო პროტესტების მძლავრი ტალღა — მსოფლიოს ხალხები აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის გადაწყვეტილებამ სრული მასშტაბით დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, პრესის გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ არამც და არამც არ უნდა დაუშვათ ახალი ბირთვული კატასტროფა.

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ. მონღოლი ხალხი გულისწყრომით აცხადებს პროტესტს იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციამ მიიღო ნეიტრონული იარაღის წარმოების შესახებ, წერს მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲚᲣᲦᲣ“. იგი მოწმობს, რომ შეერთებული შტატები სამხედრო უპირატესობას ესწრაფვის.

ნეიტრონული იარაღის წარმოება, აღნიშნავს გაზეთი, მოასწავებს საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებას, გამალებული შეიარაღების შემდგომ გამძაფრებას, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობათა შემცირებას.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გულისწყრომით დაგმო თეთრი სახლის საშიში გადაწყვეტილება გავლენიანი ამერიკული მეცნიერული ჟურნალის „ბულეტინ ოფ ატომიკ საიენტისის“ მთავარმა რედაქტორმა გ. ფელდმა.

„ნეიტრონული ბომბის წარმოება, — განაცხადა მან საკდესის კორესპონდენტისადმი ინტერვიუში, — თვისებრივად ახალი მომესტია შეიარაღების ზრდის პოლიტიკისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია ადგას“. ლაპარაკი ამ იარაღის „უწყინარ“ ხასიათზე, სინამდვილეს არ შეეფერება. „ნეიტრონული ბომბი შეიძლება გახდეს ის დეტონატორი, რომელიც საყოველთაო ბირთვულ ომს გამოიწვევდა. ამ ომის შემზარავი შედეგები კი ძნელი წარმოსადგენია“, — თქვა მეცნიერმა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „ᲕᲒᲛᲝᲑᲗ ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲑᲝᲛᲑᲡ!“, — „ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲑᲝᲛᲑᲘ!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ლონდონის საელჩოს შახობრივი პიკეტირება. იგი ბირთვული განიარაღების მომხრეთა მოძრაობამ მოაწყო. დემონსტრაციის მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება შეუდგეს ნეიტრონული იარაღის სრული მასშტაბით წარმოებას.

საელჩოს წარმომადგენლებს გადაეცათ ბირთვული განიარაღების მომხრეთა მოძრაობის წერილი, რომელშიც გულისწყრომას გამოთქვამენ ამ საშიში ნაბიჯის გამო.

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲕᲐ

ᲨᲔᲜᲧᲓᲔᲡ ᲠᲐᲡᲘᲡᲒᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ!

ᲓᲔᲚᲘ. მასობრივი დემონსტრაცია და საპროტესტო მიტინგი გაიმართა ინდოეთის დედაქალაქში ინგლისის საელჩოს შენობის წინ. მისმა მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს ინგლისის ხელისუფლების რეაქციული პოლიტიკა, რომელიც აქეზებს რასისტებს ინგლისში. დემონსტრანტებმა მოითხოვეს რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ ბოლო მოუღოს რასისტთა გამოხდომებს, პატიჰი სცეს ინგლისელი მოქალაქეების უფლებებს მიუხედავად მათი კანის ფერისა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: მიტინგის დროს.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

● ᲩᲘᲚᲔ

რეპრესიული ღონისძიებები

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. მთელ ჩილეში გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ პინოჩეტის განკარგულებით ქვეყნიდან გაძევეს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ოთხი წარმომადგენელი. მათ იმაში მიუძღოდათ „ბრალი“, რომ მოითხოვეს გაეუქმებინათ აკრძალვა მშრომელთა საბრძოლო ორგანიზაციის — პროფკავშირთა ეროვნული საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობისა, აგრეთვე გაეთავისუფლებინათ მისი ხელმძღვანელები.

სანტიაგოდან მიღებული ცნობების თანახმად ორმოცდაათზე მეტმა ადვოკატმა მოაწერა ხელი განცხადებას, რომელშიც ფაშისტური ხროვის რეპრესიულ ღონისძიებებს უწოდებენ „უკანონობისა და განუკითხველობის“ აქტს.

● ᲐᲨᲨ

Ა. ᲰᲔᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲯᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ა. ჰეიგი გამოვიდა ახალ ორლეანში ამერიკის იურისტთა ასოციაციაში. მისი სიტყვის შეტი ნაწილი მიეძღვნა რ. რეიგანის ადმინისტრაციის მიდგომას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისადმი. მან განაცხადა, რომ ბირთვულ საუკუნეში სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე მძლავრი სახელმწიფოებია, და რომ „ამიტომ არ უნდა დავუშვათ, რათა მათ შორის შეურიგებელ უთანხმოებას გლობალური კატასტროფა მოჰყვეს“. თქვა რა ეს, ჰეიგი შემდეგ ამტკიცებდა, თითქოს დაძაბულობის შენელების ათწლეულს სსრ კავშირისათვის სამხედრო უპირატესობა მოეტანოს, საბჭოთა კავშირის სამხედრო პოტენციალის ზრდას „ტემპი აეღოს საოცარი სტაბილურობისა და საბჭოთა ისტორიისათვის დამახასიათებელი აყვავების პერიოდის მეორეებით“.

ჰეიგის სიტყვა შეიცავდა ჩვეულებრივ სტერეოტიპულ მტკიცებებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ამისათვის მიმართავს, რომ დაამახინჯოს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არსი. მან, კერძოდ, განაცხადა, თითქოს „ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ყველაზე მეფეგი გართულებანი გამოიწვიოს საბჭოთა კავშირის ჩარევას რეგიონალურ კონფლიქტებში, რომლებიც აღრმავებენ დაძაბულობას და ხელს უშლიან მშვიდობიანად გადაწყვეტილთა გზების ძიებას“.

მაგრამ, საკმარისია კონკრეტულად გავაანალიზოთ სიტუაცია მსოფლიოს ყოველ რეგიონში, რომ დავრწმუნდეთ, სწორედ შეერთებული შტატები და არა საბჭოთა კავშირი აბრკოლებს დაძაბულობის არსებითი კერების ლიკვიდაციას და წარმოშობს კონფლიქტების ახალ კერებს. სსრ კავშირმა კი არა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გათელა ახლო აღმოსავლეთის ვითარების ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1977 წლის 2 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში.

სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა ცალმხრივი წესით საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ინდოეთის ოკეანის აუზში სამხედრო აქტიურობის შეზღუდვის შესახებ, რათა დაუბრკოლებლად გაეზარდა ინდოეთის ოკეანესა და სპარსეთის ყურეში ამერიკის სამხედრო ყოფნა. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ინტერვენციონისტულ ხასიათს მოწმობს აგრეთვე ეგრეთ წოდებული სწრაფი რეაგირების ძალების შექმნა, რომლებიც გათვალისწინებულია განმათავისუფლებელ მოძრაობათა ჩახშობისა და აზიის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში შეიარაღებული ჩარევისათვის.

„განა ამას არ მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების კურსი ირანისა და მთელი რიგი სხვა მუსლიმანური ქვეყნების მიმართ.

ამიტომ განა ცხადი არ არის, რომ ურთიერთობაში ძალის გამოყენების შეკავების მოწოდებანი, რომლებითაც ჰეიგი გამოვიდა, თვით შეერთებულ შტატებს უნდა ეხებოდეს. არადა მარტო ომისშემდგომ პერიოდში, ბრუკინგსის ინსტიტუტის მონაცემებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სულ ცოტა 215 შემთხვევაში გამოიყენა შეიარაღებული ძალა ან ძალის გამოყენებით დამუქრება სხვა სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობაში.

ა. ჰეიგს არ დაუმალავს, რომ რეიგანის ადმინისტრაციის ვარაუდით, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის იმპერიულ მიზანთა მიღწევის ხელი უნდა შეუწყოს გამალებული რაკეტულ-ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების ზრდამ.

ამავე დროს იგი ირწმუნებოდა, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს „გამალებით დაეწყოს კონცეფციების მომზადება, რომლებიც წინ უნდა უძღოდეს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებებზე წინსვლის განახლებას“.

როცა მოლაპარაკების პერსპექტივებს შეეხო, სახელმწიფო მდივანი არსებითად დაადგა იმ პოზიციას, რომ ეს მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს ამერიკის პირობებით, რითაც უგულებელყო თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი.

ა. ჰეიგმა ამჯობინა არაფერი ეთქვა იმაზე, რომ შეერთებულ შტატებს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ რატიფიცირებული არ არის და ძალაში არ შესულა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულება და მიაჩუმათა პრეზიდენტ რეიგანის უკანასკნელი მშვიდობის საქმისათვის საშიში გადაწყვეტილება ნეიტრონული იარაღის სრული მასშტაბით წარმოების შესახებ.

როგორც ამერიკის პოლიტიკური მმომხილველები აღნიშნავენ, მთლიანად ჰეიგმა თავისი სიტყვით სცადა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მიმართ, გამალებული შეიარაღებისა და კონფრონტაციის ძირითადი მომართულების გარდა, შეიძლება არსებობდეს კიდევ რაღაც „უფრო მიმზიდველი“ ალტერნატივა საბჭოთა კავშირისათვის. მაგრამ ეს „ალტერნატივა“ განპირობებულია მიუღებელი მოთხოვნებით სსრ კავშირის პოლიტიკის შეცვლის შესახებ და მას თან სდევს მუქარა საბჭოთა კავშირის მისამართით.

ამასთან დაკავშირებით გაჩენილი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს: სახელმწიფო მდივანი ქვლავრდებურად აცხადებს, რომ თუ რუსები უკეთესად არ მოიქცევიან, ამერიკის შეერთებული შტატები დასჯის მათ, ეცდება სამხედრო უპირატესობის მიღწევას. მაგრამ ეს მირაჟია. არსებობს უდავო თანასწორობა სტრატეგიულ შეიარაღებაში, საიდანაც გამომდინარეობს შეიარაღებისადმი კონტროლის აუცილებლობა.

ᲛᲘᲣᲛᲮᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ბაღდადზე ისრაელის მეკობრული თავდასხმის (რომლის დროსაც დაბომბეს ბირთვული რეაქტორი) და მშვიდობისა და უშიშროებისათვის ამ აქციის სერიოზული შედეგების საკითხი უნდა შეიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მომავალი XXXVI სხდომის დღის წესრიგში. ამის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს თხოვნით მიმართა 40 მიუმხრობელმა ქვეყანამ.

მათი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ისრაელის შეიარაღებული თავდასხმა ბაღდადზე მთელმა მსოფლიომ დაგმო როგორც აგრესია უხეში აქტი და სერიოზული საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის. დოკუმენტში ყურადღებას მიიპყრობენ აგრეთვე ისრაელის აგრესიის საშიშ შედეგებს ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემათა გადაჭრისათვის.

ამ საკითხის სერიოზულობის გამო 40 მიუმხრობელ ქვეყანას მიაჩნია, რომ საჭიროა იგი განხილულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყველა ასპექტში.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲙᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

□ **ᲕᲘᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ**

აქ პრეზიდენტ სუფანუვონგის თავმჯდომარეობით გაიხსნა ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების ყოველწლიური სესია.

სესიაზე განიხილავენ რესპუბლიკის 1981 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს, დაამტკიცებენ მეორე ნახევარწლეულის სამოქმედო პროგრამას.

□ **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ხდება ესპანეთში მოწყობილი ანტიხამთავრობო შეთქმულების ახალი გარემოებები, რომლებიც მოწმობენ, რომ შეთქმულნი ესწრაფვოდნენ სამხედრო დიქტატურის დამყარებას და ხალხის დემოკრატიულ მონაპოვართა ლიკვიდაციას. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, მიმდინარე წლის 23-24 თებერვალს ჩაშლილი პუტჩის ერთ-ერთმა მოთავემ ა. ტეხერო მოლინამ სასამართლო გარჩევის დროს აღიარა, რომ სახელმწიფო გადატრიალების განხორციელების შემდეგ აპირებდნენ შეექმნათ სამხედრო მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა დივიზიის გენერალი ა. არმადო.

□ **ᲐᲛᲐᲜᲘ**

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ სამხედრო ხელისუფლებამ კიდევ 6 თვით გაუგრძელეს შინაპატიმრობა თვალსაჩინო პალესტინელ მოღვაწეებს, იერუსალიმის დასავლეთ ნაწილში გამომავალი არაბული გაზეთების რედაქტორებს მაამუნ ასხეიდს, აკრამ ხანის, ბაშარ ბარღუთის. ერთი წლის წინ ისინი თანამდებობიდან გადააყენეს ოკუპაციის რეჟიმისადმი ოპოზიციის ბრალდებით და მას შემდეგ შინაპატიმრობაში ამყოფებენ.

□ **ᲞᲐᲜᲐᲛᲐ**

ᲞᲐᲜᲐᲛᲘᲡ სახალხო კარტიამ ლეგალური არსებობისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღო. იგი ოფიციალურად გაატარა რეგისტრაციაში ქვეყნის უმაღლესმა ტრიბუნალმა.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲓ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲗᲘᲡ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲚᲝᲢᲝ ᲖᲣᲠᲩᲖᲔ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

„ᲛᲝᲛᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲥᲝᲛᲐᲒᲘᲡ“ ᲜᲘᲚᲑᲘᲗ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲯᲐᲝ ᲫᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲛᲔᲓᲔᲒᲝ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲐᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, ჩინეთის პრემიერმა ჯაო ძიანმა ახლახან ფილიპინები, მალაიზია, სინგაპური და ტაილანდი მოიარა. თავისი ვიზიტის დროს იგი ბევრს ლაპარაკობდა „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის წევრ სახელმწიფოებთან ჩინეთის მეგობრულ ურთიერთობაზე და უხეშად ეხმოდა თავს საბჭოთა კავშირის, ვიეტნამისა და კამბუჩიის საგარეო პოლიტიკას. ასეანის ხუთიდან ოთხ ქვეყანაში, (ინდონეზიამ არ ისურვა მასპინძლობა გაეწია ჩინელი სტუმრისათვის) ჯაო ძიანი იმ განზრახვით გაემგზავრა, რომ დაეცხრო უთანხმოებანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობის ნორმალიზაციის გზების ძიების საკითხისადმი ჩინეთისა და ასოციაციის წევრი ქვეყნების მიდგომაში. ამავე დროს პეკინს ეწადა შეეპირებინა ასეანის ქვეყნები, რომ უყოყმანოდ დაუჭერენ მხარს პოლპოტელ ნაძირალებს და შეურიგებელ პოზიციას დაადგებიან სახალხო კამპუჩიის მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოგზაურობის მიზანი იყო ჩაეთრიათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები ამ რეგიონში პეკინის ავანტიურისტულ ანტივიეტნამურ და ანტიკამპუჩიურ პოლიტიკაში. ამ გეგმების რეალიზაციისათვის ვიზიტის დროს იხმარეს ყველა საშუალება — არც გულუხვ დაპირებებს დარიდებიან და არც ყოვლად უტიფარ ცილისწამებას. მაგრამ მოგზაურობას ვერ ჭეშმარიტება ისეთი შედეგები, როგორიც პეკინს ეწადა.

მანილაში და საერთოდ სხვა დედაქალაქებში, რომლებსაც ჯაო ძიანი ეწვია, დაუფარავი გაღიზიანება გამოიწვია ჩინეთის პრემიერის ცდებმა ესწავლებინა ასეანის სახელმწიფოებისათვის, თუ რა პოლიტიკას უნდა ატარებდნენ. ამ ქვეყნების საზოგადოებრივობას კარგად შეეხსენება, რა განზრახვით აღვივებს ჩინეთი ანტისაბჭოურ და ანტივიეტნამურ ისტერიას. პეკინს ეშინია, რომ რეგიონის პოლიტიკური მოწესრიგების პერსპექტივა მას ეკუთვნის ინდოჩინეთი, იმ ცხვრის ქურქს ჩაიცვამს, რომელშიც მგელი გახვეულა“. (საკდესი).

ᲔᲡᲚᲔᲒ ᲨᲔᲜᲘ „ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ“

● ᲐᲨᲨ

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲛᲐᲒᲣᲚᲝᲑᲡ

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ. შეერთებულ შტატებში შეუკავებლად ძვირდება პირველი მოხმარების საქონელი, განსაკუთრებით საჭმელთა. ტრადიციული „პროდუქტების კალათა“, რომელშიც 35 დასახელების პროდუქტი შედის, ბოლო 12 თვეში, იუწყება „სან-ფრანცისკო ქრონიკული“, 6,7 პროცენტით გაძვირდა. კარტოფილი გაძვირდა 48,5, კვერცხი—17,9 თეთრი პური — 14, ფორთოხალი — 23,7, ყველი — 9,6, ღორის ხორცი — 11,4 პროცენტით. „კვება ახლა ხულ უფრო ძვირი ჯდება“, დაასკვნის გაზეთი.

● ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲛᲐᲡᲘᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲗᲘᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის საფეიქრო მონოპოლიები მახოჩრივად ითხოვენ მუშებს. დაიხურა „ფრანკის“ ფირმა, უმუშევრად დარჩა 350 კაცი. გაკოტრდა აგრეთვე „სიფტის“ კომპანია, სადაც დაითხოვეს 440 მუშა და მოსამსახურე. მარტო მარსელის საფეიქრო მრეწველობის 33.600 მშრომელმა შეკავეს საფრანგეთის უმუშევართა რიგები.

ᲚᲔᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲛᲐᲗᲝ ლევინი, ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, ამჟამად კანადის დედაქალაქ ოტავაში რომ ცხოვრობს, უკვე მთელი წელიწადია უმუშევარია. მასთან, 36 წლის ელექტრონული აპარატურის ტექნიკოსთან ერთად, უკიდურეს სიდუხჭირეს განიცდიან მეუღლე ალექსანდრა და რვა წლის ვაჟიშვილი.

ყოველ ცისმარე დღეს მათე ლევინი შრომის ბირჟაზე დადის, ნაირ-ნაირ ფირმებს კარს უტალახიანებს: იგი მზად არის რეცხოს ჭურჭელი, წმინდოს იატაკი, მაგრამ, ესეც სანატრელი გაუხდა. ვერავითარ სამუშაოს ვერ შოულობს მისი მეუღლეც — ელექტროგამომთვლელი მანქანის პროგრამისტი.

ლევინების ოჯახის კანადაში ყოფნის სამი წლის განმავლობაში მათე მხოლოდ 45 კვირას მუშაობდა. რამდენიმე ადგილიდან იგი მალე დაითხოვეს ისე, რომ მიზეზიც არ უთქვამთ. ლევინს მუდმივი სამუშაო უნდა, კანადის დედაქალაქის შრომის ბირჟაზე კი მხოლოდ მხრებს იჩეჩავენ — „აქ თავისუფალი ქვეყანაა და ვერავის ვერ ვუბრძანებთ სამუშაო მოგცეონ“, — ეუბნებიან ყველგან, სადაც კი ბედი მოსინჯა.

ჩვენ არ შეგვიძლია, და არც გვინდა შევიეგოოთ კაპიტალისტური საზოგადოების წესებს, სადაც, ხატოვნად რომ ვთქვათ, „საკუთარი სული და ხორცი უნდა გაყიდო“, რათა პატრონმა სამუშაო მოგცეს, უთხრა მათე ლევინმა ჟურნალისტებს.

საბჭოთა კავშირში, გულდაგული ძიებელი ამბობს ცოლ-ქმარი ადამიანები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ უმუშევარნი არ რჩებიან, ხოლო მათი შვილები — უსწავლელნი, რომ მათ ბიჭებიდან არ გამოასახლებენ.

მაინც რა თავისუფლებებს ენს კანადაში საბჭოთა კავშირიდან წასული კაცი?

იმის თავისუფლებას, რომ ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ ფასად, ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ ფირმას, ნებისმიერ ბანკს, ნებისმიერ ბანკირ-ბანკიერ ფირმებს, ნებისმიერ ბანკ-ბანკიერ ფირმებს, ნებისმიერ ბანკ-ბანკიერ ფირმებს, ნებისმიერ ბანკ

ყვარელი — კახი

მეგობროებით ვ ა რ თ ძლიერი

ლაგოდეხს რომ გასცდები, მაგისტრალური გზატკეცილი ჯერ ბელაქანში, ზაქათალაში, მერე კი კახში მიგიყვანთ. ქალაქ კახის შესასვლელთან გაშენებულია პარკი „მეგობრობა“. თვალსაჩინო ადგილას დიდ სამამულო ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად აღმართულია ობელისკი. ღირსშესანიშნავ დღეებში ხალხმრავლობაა პარკში. ლენინური კომკავშირის რიგებში შესვლა, ახალი პასპორტის გადაცემა და საბჭოთა ცხოვრების სხვა წესები ხშირად აქ სრულდება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ყვარლის რაიონს კახის წარმომადგენლები ესტუმრნენ, რათა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება გაეფორმებინათ. სტუმრები ყვარელში გაეცნენ მეგობართა მიღწევებს. სიყვარულმა და მეგობრობამ გვასწავლა პატივი ვცეთ ერთმანეთს, საუკეთესო და მონინავე გამოცდილება პრაქტიკულ საქმიანობაში დავნერგოთ. ჩვენს ხალხს ხომ ოდითგანვე სისხლხორცში აქვს გამჯდარი მეგობრობის გრძნობა. ხალხთა ძმობა და მეგობრობა ქვეყნის სიმტკიცეს ნიშნავს.

ცხოვრების ასეთმა წესმა ბევრი სიკეთე მოგვიტანა. ოქტომბრის იდეებით შთაგონებული ამ ორი მოძმე რესპუბლიკის რაიონების მშრომელები ხელიხელჩაკიდებული იღვწიან უკეთესი მერმისისათვის.

რამდენიმე თვის შემდეგ კახში ყვარლელები ჩამოვიდნენ. მეგობრებმა „მეგობრობის“ პარკში ხეები დარგეს. ახლა მარადმწვანე ფიჭვის და ნაძვის პარკი ნალკოტად გადაქცეულა და ორი მოძმე რესპუბლიკის ხალხთა მარადიული მეგობრობის სიმბოლოა.

ყვარელი მევენახეობითა და მეღვინეობით არის ცნობილი, ხოლო კახმა თხილითა და ნიგვზით გაითქვა სახელი. სხვადასხვა დროს ს. ვურლუნის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ მნიშვნელოვანი ოდენობის თხილის ნერგი გაგზავნა ყვარელში.

ეს კი ორიოდე წლის წინანდელი ამბავია — სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა ყვარელელებმა შეჯიბრების ხელშეკრულებაში ჩაწერეს: კახის რაიონის მეურნეობებში 50 ჰექტარზე ტურნეფსი დაითესოს. იმ წელს ტურნეფსი უხვმოსავლიანი გამოდგა ნიზამის, შოთა რუსთაველისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში. ყვარლის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა ჯემალ სიბაშვილმა ბევრი მეგობარი გაიჩინა კახში. მისი სტუმრობა სასიხარულო და საქმიანი.

კახის ს. ვურლუნის სახელობის მეურნეობის კულტურის სახლის ეზოსა და მეგობრობის პარკში ცივი წყაროს წყალი მოჩუხჩუხებს. წყაროძეგლები ყვარელიმა ოსტატებმა ააშენეს.

ქალაქ ყვარელში კულტურის სახლის შესასვლელთან ლითონზე ამოტვიფრულია სიტყვები — „მეგობრობა“, „კახი-ყვარელი“. ეს მართლაც ბევრის მთქმელია.

გაზეთ „ყვარლის“ მკითხველები კარგად იცნობენ კახის რაიონის კოლმეურნეობა „გალაბას“ მეთამბაქოეს, სოციალისტური შრომის გმირს, გმირ დედას ჰ. თალიევას, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სარქალს, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მ. მირზოევს, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის რეკორდსმენ მეთამბაქოეს ს. ყულიშევს და სხვა.

ყვარლის რაიონის მექანიზატორმა ვ. სეფიაშვილმა, მეცხოველემ დ. მირიანაშვილმა, მევენახემ მ. ერგელაძემ, გმირმა დედამ ქ. დათიაშვილმა და სხვებმა სიყვარული მოიპოვეს კახის რაიონის მშრომელებს შორის თავიანთი საქმეებით, მეგობრებისადმი კეთილი დამოკიდებულებით.

კახის რაიონის ახალგაზრდობამ გადარბენა მოაწყო ყვარელში, სადაც ომის ვეტერანებთან ერთად დაათვალიერეს დიდი ილიასა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმები.

საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით კახში ფართოდ უწვენებდნენ ქართულ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს. ამ ფილმებს დიდი მონონება ხვდათ წილად.

წლითიწლობით ვითარდება და მტკიცდება ორი მოძმე რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა ძმობა და მეგობრობა. ამიტომ ხშირად ამბობენ ხოლმე — ძმაო ძმითა ხარ ძლიერიო.

ჰ. აზიმოვი,
ვ. ოქროჯანაშვილი,
კახის რაიონული გაზეთის კორესპონდენტები.

ყურადღება, ბავშვები!

ალვკვეთოთ ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმი

სწრაფი ავტომობილიზაციის პერიოდში საავტომობილო გზებზე და ქუჩებში მოზღვავებულმა ტრანსპორტმა დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა წარმოშვა, მას მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ვუწოდებთ.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეთა უდისციპლინობა, წესების უცოდინარობა, მათი უხეში დარღვევები და სატრანსპორტო ტექნიკური საშუალებებისათვის უკულტურო დამოკიდებულება.

მოძრაობის უსაფრთხოებისთვის ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი ღონისძიება ეწყობა და ხორციელდება. შედეგი სანუგეშო როდია. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამო ადამიანის სიკვდილი დიდი ტრაგედიაა, მაგრამ არაფერია იმაზე უფრო საშინელი და გულსაკლავი, როცა ბავშვები ავტოავარიის მსხვერპლნი ან სამუდამად ხეიბარნი ხდებიან.

წლეულს იქმს თვეში რესპუბლიკაში საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა შედეგად გარდაიცვალა 20 და დაშავდა 78 ბავშვი.

საქართველოში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ აღიკვეთოს ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმი. მათ შორის ერთ-ერთი ქმედითი ღონისძიებაა უკვე ტრადიციად ქცეული საკავშირო რეიდი — „ყურადღება, ბავშვები!“. წლეულს იგი 15 აგვისტოს დაიწყება და სექტემბრის 15 რიცხვამდე გასტანს.

რეიდის პერიოდში, სასწავლო წლის დაწყებამდე მოეწყობა სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებისათვის მოძრაობის წესების შესწავლისათვის პასუხისმგებელი პედაგოგების, საბავშვო ბაღების აღმზრდელების, კომკავშირული და პიონერული მუშაკების სემინარები. დიდი ყურადღება მიექცევა საბავშვო ავტოდარომების, ავტოქალაქების, მოედნების მშენებლობას. პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა დასასვენებელ სახლებში ჩატარდება თემატური ლექცია-საუბრები, გაძლიერდება ბავშვებთან მოძრაობის წესების საპროპაგანდო ღონისძიებები. თითოეულ სკოლაში შეიქმნება ნორჩ ავტოინსპექტორთა რაზმები, მოეწყობა მიზნობრივი რეიდები.

ყველაფერი ეს წვეთი იქნება ზღვაში, თუ მილიციის ორგანოებს, საავტომობილო ინსპექციას მხარში არ ამოუდგა ფართო საზოგადოებრიობა. „ყურადღება, ბავშვები!“ — ეს სიტყვები გვახსოვდეს არა მარტო რეიდის პერიოდში, არამედ მუდამ, ყოველდღე.

ა. ბუხრაშვილი,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს „აგიტაციისა“ და პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲤᲘᲨᲐᲡᲗᲐᲜ

დიდი ცხოვრების ფურცლები

„ალორძინება“ სოხუმის აფხაზური თეატრის სცენაზე

„ᲒᲐᲚᲐᲮᲘ უკვე ამოსულიყო რკინასა და ღორღს შორის, შორიდან გავლილორებული ძაღლების ყმუილი ისმოდა, ირგვლივ კი მხოლოდ ნანგრევები ასვეტილიყო და დამწვარი ხეების ტოტებზე ყვავების ჩაშავებული ბუდეები ეკიდა. მსგავსი რამ სამოქალაქო ომის დროს მენახა, მაგრამ მაშინ შიშს მგვრიდა ქარხნების უსიცოცხლო მდუმარება. ახლა კი ისინი მიწასთან იყო გასწორებული“.

ასეთი ჩინებული მხატვრული პასაჟით იწყებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის „აღორძინებას“ და თხრობის ეს დინჯი, ეპიკური სტილი უმალ გიმორჩილებთ, გხბლავთ არა მარტო მხატვრულ სახეთა სისტემა, არამედ დროის, ატმოსფეროს, ცხოვრებისეული სინამდვილის გადმოცემის ასახვის მეთოდი. იგი გიტაცებთ და უმალ თვალხილული ხდება, რომ ეს მხოლოდ მხატვრული ხერხი კი არა, საბჭოთა ხალხის იმ წლების გარჯის, საგმირო საქმეთა დახასიათების, მისი ყოფის აღწერის ერთადერთი საშუალებაა.

„აღორძინების“ ცენტრში დგას ხალხის ყოფა, მისი გმირული ბრძოლა პარტიის მიზანდასახულობათა შესასრულებლად, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსება ის გახლავთ, რომ ნაწარმოებში წარმოჩენილია პარტიული მოღვაწის სახე, სწორედ ისეთი პარტიული მოღვაწისა, რომელსაც მთელი თავისი არსებობის მახვილზე ქმნიდა და ქმნის კომუნისტური პარტია, პარტიული მოღვაწე, რომლის უმთავრესი თავისებურება გახლავთ დაუცხრომელი შრომის უნარი, მიზნისაკენ დაჟინებული სწრაფვა, მეგობრობა, ერთგულება საქმისა და სიყვარული ადამიანებისა, შრომელი ხალხისა. ყველა ეს თვისება ქმნის პარტიული მოღვაწის იმ კრებითს სახეს, რომელიც იდეალური და მისაბაძი უნდა იყოს ყოველი ჩვენგანისათვის.

დამეთანხმებით, ყველაფერი ამის სცენაზე გადატანა არც ისე იოლი საქმეა. ძნელია შეჰბედო ასეთ თემას, ძნელია სცენური გამომსახველობითი საშუალებები მოუნახო იმ მასალას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის წიგნშია მოქცეული, მაგრამ სიყვარული და ერგულება ბევრ სირთულეს დააძლევინებს ადამიანს. ამ სიყვარულმა და რწმენამ გაამეგობრა მოსკოველ დრამატურგ ნიკოლოზ მიროშნიჩენკოს შეექმნა „აღორძინების“ სცენური ვარიანტი. საგანგებოდ ვარიდებ თავს სიტყვა ინსცენირებას, რადგან ნ. მიროშნიჩენკოსეული სცენური „აღორძინების“ ღირსება, მისი გამარჯვების ერთ-ერთი საბაბი ისიც გახლავთ, რომ მან სცენაზე „აღორძინების“ ტექსტი კი არ გადაიტანა (უოფცა, არც ამ გარემოებისათვის უქცევია ზურგი), არამედ მისი ჰუმანურობა, იდეები. ლ. ი. ბრეჟნევი თავის მემუარებში არაერთგზის აღნიშნავს, რომ ყოველი ადამიანისათვის მთავარია საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, სწორედ შემოქმედებითი მიდგომაა თვალსაჩინო ნ. მიროშნიჩენკოს ნაღვაწში. მან „აღორძინების“ საფუძველზე შექმნა დამოუკიდებელი პიესა, და არა ინსცენირება, პიესა, რომელიც გხიბლავთ პირველწყაროს იდეებისადმი, ავტორის პრინციპებისადმი ერთგულებით, მან სცენაზე გააცოცხლა ადამიანები, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევის გვერდით ქმნიდნენ, იღვწოდნენ და იბრძოდნენ. ამიტომ პიესა (და აქედან გამომდინარე აფხაზური თეატრის სპექტაკლი) არც ემოციას არღვევს, მოულბეული, შესაძლოა, მან ზოგჯერ

მშენებლები.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

ᲘᲡᲢᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝᲔᲚᲔᲑᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ (საკ. კორ.). მანგანუმის სამთამადნო კომბინატის 1200-ზე მეტმა მუშაკმა გაატარა წლევანდელი შვებულება სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. მაღაროელებმა ჯანმრთელობა გაიკაჟეს ისეთ კურორტებზე, როგორიც არის კისლოვოდსკი, წყალტუბო, ყელეზნოვოდსკი, ევპატორია, მაცესტა, მენჯი, შავი ზღვისპირეთი.

წელს მშრომელთა დასვენებისათვის სამთამადნო კომბინატს პროფკავშირის ახალი ღონისძიებები აქვს დასახული. გარდა ამისა თავიანთ სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში 1.500 სამთოელი წარმოებაში მუშაობის პარალელურად იმკურნალებს და აღიდგენს ენერგიას. ამასთანავე კულტურის სასახლეში, სახალხო თეატრსა და კლუბებში მოეწყობა გართობა-დასვენების საღამოები, ტურისტული ლაშქრობები როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

მზრუნველობით გარემოსილი არიან სამთოელთა შვილებიც. 900-მდე ბავშვი ზაფხულს ბაკურიანსა და პერევისაში ატარებს.

ᲨᲔᲤᲝᲑᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ

1976 ᲬᲚᲘᲡ სექტემბერს საფუძველი ჩაეყარა „საქსამთოქიმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებისა და ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ორმხრივ საშეფო ურთიერთობას. საავადმყოფოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მკვეთრად გაეუმჯობესებინა საქართველოს სამთო-ქიმიური მრეწველობის მუშაკთა შვილების სამედიცინო მომსახურება, ხოლო გაერთიანების კოლექტივმა თავის მხრივ გადაწყვეტა საავადმყოფოსათვის სხვადასხვაგვარი ძვირადღირებული აპარატურა შეეძინა. ახლა სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ არც ერთსა და არც მეორე ორგანიზაციას დღემდე სიტყვა არ გაუტეხავს.

გაერთიანების საწარმოების განლაგების ადგილებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესწავლის, პრაქტიკული დახმარების და ღონმა სამედიცინო შემოწმების მიზნით საავადმყოფოში შექმნილია კომპლექსური ბრიგადები, რომლებშიც შედიან პედიატრები, კარდიორევმატოლოგები, ოტოლარინგოლოგი, ოფტალმოლოგი, ნეკროპათოლოგი, ფსიქონევროლოგი, ქირურგი, სტომატოლოგი და სხვა სპეციალისტები. ექიმები ყოველწლიურად სამედიცინო დახმარებას უწევენ 5.000-მდე პატარა პაციენტს.

წელსაც პირველი ივნისიდან ივლისის დამლევამდე იქმნება ბრიგადები, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე კ. ბაქრაძე უწევს, გავიდნენ რაიონებში, სადაც სამთო-ქიმიური საწარმოებია განლაგებული. ისინი ახლაც ბავშვებს ადგილზე უწევენ სამედიცინო დახმარებას. ახორციელებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს დაავადებათა სალიკვიდაციოდ.

რ. ბაბუნაშვილი.

მუზეუმი მდიდრდება

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). რაიონის მრავალი სტუმარი ყურადღებით ეცნობა სახვითი ხელოვნების მუზეუმს, რომელსაც დაარსების თექვსმეტი წელი შეუსრულდა. მის დარბაზებში გამოფენილია 524 ექსპონატი.

ახლახან მუზეუმს შეემატა ქართველი მხატვრების ე. კალანდაძის, რ. ჯორჯოლიანის, ა. ჯარაზის, რ. სტურუას, ზ. ნიკარაძის 60-მდე ნამუშევარი. სახვითი ხელოვნების პროპაგანდის მიზნით ავარის, წესის და ნიკორწმინდის კულტურის სახლებში მოწყობილია მოძრავი გამოფენები.

ᲙᲠᲘᲖᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲔᲓᲔᲒ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 24 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ვენახებში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომი გვატყობინებს, რომ რაიკომის ბიურომ თავის გამსვლელ სხდომაზე საგანგებოდ იმსჯელა ჯაფარიძის კოლმეურნეობის ზვრების მოვლა-პატრონობის თაობაზე.

ბიურომ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა კომიტეტმა და სპეციალისტებმა ვერ შეძლეს მშრომელთა სათანადო მობილიზება, ვენახები თავის დროზე ვერ დაამუშავეს; რაციონალურად ვერ გამოიყენეს ტექნიკა, შრომითი რესურსები და შხამ-ქიმიკატები.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ თავიდანვე სწორად ვერ შეაფასა ვენახებში შექმნილი მდგომარეობა, ვერ განსაზღვრა დაავადებების გავრცელების მასშტაბი და მოსალოდნელი შედეგები; კოლმეურნეობაში არ შეიქმნა ბავშვებელ-დაავადებების წინააღმდეგ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა და ვენახების გადასარჩენად არც საყოველთაოსახალხო ბრძოლა გაუშლიათ.

პარტიის რაიკომის ბიურომ ყურძნის მოსავლის გადარჩენისათვის გაწეული არასაკმარისი მუშაობისა და იმისათვის, რომ ვენახებში დაავადების გავრცელება თავიდან ვერ აიცილეს, ჯაფარიძის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ყოჩიაშვილს და კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ვ. გოგოლაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური — საალრიცხვო ბარათში შეტანით; სამსახურიდან გათავისუფლა კოლმეურნეობის მთავარი მევენახე-აგრონომი ქ. ყოჩიაშვილი და ინჟინერ-მექანიკოსი მ. ოზაშვილი, ხოლო მევენახე-აგრონომის ს. ხუციშვილის ნაკვეთი თანამდებობაზე დატოვების მიზაზეშეწონილების შესახებ გადასცა კოლმეურნეობის გამგეობას.

დაისახა ვენახების მოვლის სათანადო ღონისძიებები.

რესპუბლიკის შრომითი მატიანე

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ხალხმა უდიდესი ზეიმით აღნიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავი. სწორედ ამ დიდებულ თარიღს მიუძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კოლექტივმა სპეციალური ნაშრომი: „საბჭოთა საქართველო“ (მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი) 1921-1981 წ. წ. რედაქტორები ა. გუნია და ა. ნუცუბიძე. „მეცნიერება“, 1981 წ.

ნაშრომი ათეული წლების მანძილზე ქართველი სწავლული ეკონომისტების მიერ გაწეული შუამავლის შემოქმედებითი გაგრძელებაა. იგი იხსნება ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით, რომლითაც მან სკკპ XXVI ყრილობაზე ხაზი გაუსვა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვანი დაჩქარების მიღწევას. აღნიშნული ნაშრომის მთელი შინაარსი სწორედ ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლის კონკრეტულ საკითხებს შეეხება.

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘᲡ გავრცელებას ყველა ქვეყანაში გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ სხვადასხვა რეაქციული მიმდინარეობანი. გამონაკლისი არც საქართველო იყო. მარქსიზმის იდეების ჭეშმარიტ მემდეგრეს და გამავრცელებლებს (ალ. წულუკიძე, ი. სტალინი, ფ. მახარაძე და სხვ.) დიდი ბრძოლა უხდებოდათ ბურჟუაზიული იდეოლოგიის აშკარა დამცველების (ვ. ჩერქეზიშვილი, ა. ჯორჯაძე, ნ. ჟორდანია და სხვ.) წინააღმდეგ.

ამ იდეურ ბრძოლას და მარქსისტული აზრის გავრცელებას საქართველოში აშუქებს ფ. ნადიბაიძის წიგნი „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900-1921“. (თბილისი, 1980 წ.). მისი არქიტექტონიკა ასეთია: პირველ თავში განხილულია საქართველოში XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა ძირითადი თავისებურებანი, ნაჩვენებია მათი რეაქციული ხასიათი. მეორე თავში გაანალიზებულია „ლეგალური“ მარქსიზმის ოპორტუნისტული და წვრილბურჟუაზიული არსი, ბოლო, მესამე თავი ეძღვნება ქართველი მარქსისტების დამსახურებას მარქსისტული ფილოსოფიის დაცვისა და გავრცელების საქმეში.

ბურჟუაზიული მიმდინარეობებიდან ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული ვ. ჩერქეზიშვილისა და ა. ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებები. ვ. ჩერქეზიშვილი პოპულარული იყო არა მარტო საქართველოში, იგი საერთაშორისო ანარქიზმის ერთ-ერთ ბელადადაც კი აღიარეს. საქართველოში მან პირველმა წამოაყენა დიალექტიკისა და სახელმწიფოს უარყოფის საკითხი. ამას იგი ცალმხრივი ემპირიზმის წარმომადგენლად ცნობდნენ. ფ. ნადიბაიძემ დაამტკიცა, რომ ა. ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებები წინააღმდეგობრივია და ერთიანნი, სისტემური ხასიათისა არ არის. პირველად ა. ჯორჯაძე კანტიანური ფილოსოფიის მიმდევარია და ამ პოზიციებიდან ებრძვის მარქსიზმს, ცდილობს კანტისა და კანტიანელობის ფილოსოფიიდან აღებული არგუმენტებით „უარყოს“ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულებები, შემდეგ კი იგი სიცოცხლის ფილოსოფიის პრობლემატიკით არის შემოსაზღვრული და სკეპტიციზმამდე მიდის.

მეორე თავში განხილული და გაკრიტიკებულია ნ. ჟორდანიას და ი. გომართელის შეხედულებანი. ბევრი მკვლევარისგან განსხვავებით ფ. ნადიბაიძე დამაჯერებლად ნათელყოფს, რომ ნ. ჟორდანია თავიდანვე ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ნიადაგზე იდგა და მიზნად ისახავდა მარქსიზმის რევოლუციური, თეორიის ბურჟუაზიულ სინამდვილესთან საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ფინანსების და საკრედიტო სისტემის, ჯანმრთელობის დაცვის, საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების საკითხები; ნაჩვენებია სახალხო მეურნეობის ამ დარგებში არსებული სიახლენი, მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

სახალხო განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარების საკითხებს წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. აქ ნათლად არის ნაჩვენები, რომ განათლების ჭეშმარიტად მძლავრი სისტემის შექმნა ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეძლო. მაღალ დონეს მიაღწია ფორმით ეროვნულმა და შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ, აყვავდა ქართული მეცნიერება, რომლის მიღწევები ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. ქართული მეცნიერების გამარჯვებაა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებმა პირველად შეიძინეს ჩვენი რესპუბლიკიდან ფეროსადნობი ღუმელის კონსტრუქციის ლიცენზია, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის ბეტალურგიულმა ინსტიტუტმა შეიმუშავა. მეათე ხუთწლედში სამეცნიერო მიღწევათა დანერგვის ეკონომიკურმა ეფექტმა 140 მილიონი მანეთი შეადგინა.

ნაშრომში გაშუქებულია აფხაზეთის სსრ, აჭარის სსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ისტორიულ-ეკონომიკური განვითარების გზები და თავისებურებანი, ნაჩვენებია მათი შემდგომი წინსვლის პერსპექტივები.

საქართველოს სსრ ეკონომიკური კავშირების დახასიათების დროს რესპუბლიკის ეკონომიკა განხილულია სსრ კავშირის სხვა რეგიონებთან მჭიდრო კავშირში; აღნიშნულია, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ხასიათდება მისი რეგიონების ყოველმხრივი ინტეგრაციით. ავტორები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსი მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების ეკონომიკათა არითმეტიკული ჯამი როდია, იგი რეგიონალურ მეურნეობათა დიალექტიკური ერთიანობაა.

წიგნში მოყვანილია მეტად საინტერესო ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც გვამცნობენ მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის შემდგომი მძლავრი დაწინაურების რეალურ შესაძლებლობებს.

ნაშრომის ესოდენ გამართულ შინაარსს თავიდან ბოლოამდე იმანენტურად გასდევს ის ჭეშმარიტი აზრი, რომ ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობისა და დახმარების შედეგად მიაღწია სოციალისტურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მძლავრ აღმავლობას. წიგნის შინაარსობრივი ერთიანობა და იდეოლოგიური გამართულობა უეცილობლად მიუთითებს, რომ მის რედაქტორებს დიდი და გულმოდგინე მუშაობა გაუწევიათ.

წიგნი უდავოდ დიდ სარგებლობას მოუტანს ყველა დაინტერესებულ მკითხველს. იგი ქართული ეკონომიკური ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

გ. თოდუა,
პროფესორი.

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘᲡ გავრცელებას ყველა ქვეყანაში გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ სხვადასხვა რეაქციული მიმდინარეობანი. გამონაკლისი არც საქართველო იყო. მარქსიზმის იდეების ჭეშმარიტ მემდეგრეს და გამავრცელებლებს (ალ. წულუკიძე, ი. სტალინი, ფ. მახარაძე და სხვ.) დიდი ბრძოლა უხდებოდათ ბურჟუაზიული იდეოლოგიის აშკარა დამცველების (ვ. ჩერქეზიშვილი, ა. ჯორჯაძე, ნ. ჟორდანია და სხვ.) წინააღმდეგ.

ამ იდეურ ბრძოლას და მარქსისტული აზრის გავრცელებას საქართველოში აშუქებს ფ. ნადიბაიძის წიგნი „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900-1921“. (თბილისი, 1980 წ.). მისი არქიტექტონიკა ასეთია: პირველ თავში განხილულია საქართველოში XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა ძირითადი თავისებურებანი, ნაჩვენებია მათი რეაქციული ხასიათი. მეორე თავში გაანალიზებულია „ლეგალური“ მარქსიზმის ოპორტუნისტული და წვრილბურჟუაზიული არსი, ბოლო, მესამე თავი ეძღვნება ქართველი მარქსისტების დამსახურებას მარქსისტული ფილოსოფიის დაცვისა

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲗᲐᲠᲝ

საყურადღებო ნაშრომი ქართულ ფილოსოფიაში

მარქსიზმის რევიზიას უკავშირებდა. ფ. ნადიბაიძე გვისაბუთებს ვ. ჩერქეზიშვილის ფილოსოფიური შეხედულებების მცდარობას და აკენებს მის გნოსეოლოგიურ და სოციალურ ფესვებს.

ასევე საფუძვლიანად არის განხილული ბურჟუაზიული ფილოსოფიის მეორე წარმომადგენლის ა. ჯორჯაძის შეხედულებები. ჩვენს ფილოსოფიურ და ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება აქვთ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ მრწამსზე. ზოგიერთი მას კანტის ფილოსოფიის მიმდევრად აცხადებდა, სხვები ცალმხრივი ემპირიზმის წარმომადგენლად ცნობდნენ. ფ. ნადიბაიძემ დაამტკიცა, რომ ა. ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებები წინააღმდეგობრივია და ერთიანნი, სისტემური ხასიათისა არ არის. პირველად ა. ჯორჯაძე კანტიანური ფილოსოფიის მიმდევარია და ამ პოზიციებიდან ებრძვის მარქსიზმს, ცდილობს კანტისა და კანტიანელობის ფილოსოფიიდან აღებული არგუმენტებით „უარყოს“ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულებები, შემდეგ კი იგი სიცოცხლის ფილოსოფიის პრობლემატიკით არის შემოსაზღვრული და სკეპტიციზმამდე მიდის.

მეორე თავში განხილული და გაკრიტიკებულია ნ. ჟორდანიას და ი. გომართელის ფილოსოფიური შეხედულებებს. მართალია ი. გომართელი მთელ რიგ საკითხებში მატერიალიზმის პოზიციაზე იდგა, მაგრამ ამავე დროს მას ჰქონდა არსებითი ხასიათის შეცდომები, რომლებიც ანათესავებდა „ლეგალურ მარქსიზმთან“. მაგალითად, ი. გომართელი ცალმხრივი ევოლუციონიზმის თვალსაზრისზე იდგა, უარყოფდა ნახტომებს განვითარებაში, ეზიარებდა ტერიტორიალური ავტონომიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ თეორიას.

შემდეგ განხილულია ა. წულუკიძის, ი. სტალინის, ფ. მახარაძის, მ. დავითაშვილის შეხედულებანი, ნაჩვენებია მათი დამსახურება მარქსიზმის დაცვისა და გავრცელების საქმეში. დეტალურად არის განანალიზებული მათი ბრძოლა ანარქიზმის, „ლეგალური მარქსიზმის“, მახიზმის, „საერთო ნიადაგის“ და სხვა ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ.

გამოკვლევის თითქმის ნახევარზე მეტი დათმობილი აქვს იმ პრინციპული ბრძოლის დეტალურ ანალიზს, რომელსაც ლენინური სკოლის პროფესიონალი რევოლუციონერები აწარმოებდნენ საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის დაცვისა და გავრცელების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი მაღალ მეცნიერულ დონეზეა განანალიზებული და ავტორი საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორ იმარჯვებდა და ვრცელდებოდა მარქსისტული ფილოსოფიის პრინციპები საქართველოში. ამით, უდავოდ, დიდი საქმე გაკეთდა, არა მარტო იმიტომ, რომ ეს გამოკვლევა დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას, არამედ იმ აზრითაც, რომ ნაშრომმა, თავის მხრივ, საკმაო საფუძველი მოამზადა ამიერკავკასიაში მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელების ისტორიის ერთიანი კურსის შესაქმნელად. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის მრავალეროვან ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

კომუნისტი
საკვირაო საკითხავი

მარიჯა ბარათაშვილი

დედები

1. გასაუბრება სალომე ლაშხთან

დღეს არც რამე გახარებს,
არც წუხილით გაოსებს,
მდუმარეა სამარე
სოფლის სასაფლაოზე.

ხან თუ ქარი ხელდება,
ბალახს მკერდზე დაგახლის...
საუკუნე ბერდება? —
გულგრილია საძარხი...
და რაც უფრო გშორდები,
და რაც უფრო დაგშორდი,
აიშლება ზოდები

ძიტოვებულ ბავშვობის,
გაიღება კარები
და წარსულის თახსლებით,
შემოდიხარ კარვებით
და შიგ გულში სახლდები,
შენი ტკბილი ბაასით,
შენი გაშოლოცვებით,
საზრუნავით — ათასით,
ტკივილით თუ ოცნებით.

ამ კლდეებში მნათობდი,
ამ კერიას ათბობდი,
ათობით და ასობით
ლექსით, ზღაპრით
გვართობდი.
და მომავლის იმედად
სულში იად ხარობდა —

რუსთაველის სიბრძნე და
ქართული ლექსის გალობა.
ჭირსაც ისე ითმენდი,
ერთს არ დაიჩივლებდი,
თუ რამ გშურდა, — ვისიმე,
მხოლოდ, მხოლოდ შვილები.
გითქვამს: ყოველ ქონებას
ერთი შვილი გერჩიოთ,
მე დამჩაგრა ბუნებამ,
მოძცა მხოლოდ ექვსიო.

შარავანდად გვახურავს
შენი გონის ნათელი.
შვილებს ზრდიდი მსახურად
სიხდისის და სახელის,
რა სიკეთე მოგვაგე,
განძი — დაულეველი...
იყავ მართლის ქომაგი
და კეთილი ძრწეველი.

და რომ ასე გინამე,
და რომ შენი მჯეროდა,
ძიტოს გაძოგიყვახე
სამარხების ჩეროდან.
ღელვით, არდამშვიდებით,
გთხოვ, მიიღო პატაკი,
ნახო, რით ვართ მდიდრები,
გითხრა ჩვენი ავ-კარგი.
შორს წარსული რიალებს,
აქ კი, ჩუმი ფერებით,
ერთად შემოვიაროთ
ჩვენი სოფლის სერები.
ქოხს ნუ ეძებ, სად ნახავ
ამ ზურმუხტის სერებზე!
უკეთესი სახლ-კარი
არც ჰქონიათ ნერეთლებს.
შენ რომ ჯადო-ზღაპრებით,
სულში ამოგვიქარგე,
არც მეტი, არც ნაკლები —
დღეს ყველას აქვს ის სარკე.
სასწაულით ნაგები,
ახდენილა ზღაპრები,
დღეს ვიღას აქვს საკერვლით
დაკემსილი კაბები?

...შენი სოფლის სიკეთით,
მი'ი ხალხის ღირსებით,
ვხედავ, როგორ ინთები,
ვხედავ, როგორ ივსები.
ეზოებში გატარებ —
და სიხარულს არ ლაგმავ;
— ეს ძვირფასი სახლ-კარი
იმ ქოხების ალაგას?
...და უეცრად ჩერდები —
ჭიშკრებს ხედავ აჭედილს.
— სად ნასულან ჩვენები,
აღარა გვყავს არც ერთი?
— კი არავინ დაგვლაშქრა
აღარც უჭირთ, არც შიათ,
ისე... ყველამ ქალაქში
დასახლება არჩია.
— თუკი ასე ინებეს...
არა, ქალაქს ვინ ერჩის!
დაეტიენ შვილებით
იმ მოხუთულ ბინებში?
— დაეტიენ — ასე ჰგავს,
(სამდურავი არც ეთქმით!)

ზოგს თუ ორი შვილი ჰყავს,
ზოგს ერთი, ზოგს არც ერთი.
და ვის — როგორც
გასწვდება,
ტოლ-ამხანაგს არ რჩება...
— „ფანცი-ფუნცი გაცვდება,
შავი ყამი დარჩება“.

...შემდეგ მოდის დაისი
და ძორეულს ძოხიდავს.
დაროქილხარ ხატის წინ
გულმხურვალე ლოცვითა,
გვიმძლავრეო ოჯახი,
გვაშორეო. ურჩხული...

კვლავ გაისმის ოდაში
შენი ფიქრის ჩურჩული.

2. უკვდავება

რაც ინვება სანთლებად,
ფუჭად არ ინაცრება...
წამომანთეს სათქმელი
სამრეკლოთა, ტაძრებმა.
წამომენთო სათქმელი
განა ერთის? — მრავალის —
შუქჩამქრალი სარკმელის,
მიყუჩებულ სახლ-კარის.
და მეც მათი კარნახით,
შარაგზით თუ ბილიკით,
სამერმისოს სანახთან
გზას ფიქრებით მივიკვლევ.
...ბევრი ფესვი გამხმარა
დროის ქართა ჭენებით,
დავინყებად გაშხდარა
ლამაზმანთა მშვენებაც...
სად აზრი არ გამზევდა,
სად კერა არ აღზევდა,
დარბაზებიც დაძველდა —
იქცა ხადარბაზევად...
დღეთა გადარბეხაზე
დროსთან ისლა კამათობს,
ვინც სიცოცხლე კერაზე
კელაპტრებით აანთო,
ვინც საკვეყნოდ იღვწოდა,
ვინც პატრუქად იწვოდა,
ვინც ერისთვის ფიქრობდა
სახვალ-საშერმისოდა.
ათასლეულ ოჯიდან
თუ აქამდე მოვედით,
მარტო ხმლით და ღოხითა?
შუქიანი გონითა.
გვფარავს კერის ნათელი! —
რაც სიცოცხლედ ემართათ,
აუნთიათ სანთლებად —
ერის კელაპტრებადა.
უმძლავრესი აფრებით,
გულ და ფიქრებნათელნი
იმ კერიდან აფრინდნენ
ერის დიდი მართვენი.
განა ვერცხლით
ცთომილად? —
არა, სხვა გატაცებით
დაუზრდიათ ცხობილხი
შემდეგ, ერისკაცებად.
განა ოქრო-ბაღახშით?
ღარიბული ჩუსტებით
აგზავნიდნენ ტაძრებამი,
სად ქურუმებს უსმენდნენ
და ბათს ძალალ საუფლოს,
მალალს, სხივმომფინარეს,
ვერაფერი დააკლო
დავინყების მდინარემ.

დღეს თქვენ მეიმედებით,
(გზას მოვიკვლევ ძიებით!)
დიდებულო დედებო,
მსგავსნო ზარანდიების,
მეხატება სურათი
თქვენი ბედნიერების:
ჩუმი „სისატურათი“,
დაშაშრული ხელებით.
ღირსეული სათქმელით
გშვენით დროსთან კამათი,
ძოლგამკრთალი სარკმლებით,
ტკბილი „იავხახათი“.
რაა მეტი სიმდიდრე! —
(ქება კი არ გებევროთ!)
როს ჩვიდმეტი მემკვიდრე
ასწევს თქვენს
სადღეგრძელოს,
როცა ეზოს იკლებენ
ჟღურტლილით და ხალისით,
თქვენი შვილშვილები —
იმედები ხვალისა,
და როს იცით, ნერგებით
თქვენი უკვდავმყოფლებით,
ულამაზეს ედემად
დასახლება სოფელი.

ნუმც მოშლოდეს ქვეყანას
თქვენი საიმედობა,
თქვენი კაიქალობა,
თქვენი დიდი დედობა.
სად სიცოცხლემ იმძლავრა,
დრო ვერ გამოედავოს! —
უკვდავებად გემრავლოთ
საქართველოს დედახო!

ლოლა ზარანდია — 17 შვილის დედა.

ბებერ წისქვილთან

აქ აღარ ათევენ ღამეს წისქვილები,
მენისქვილე სოფლის გაზეთს აღარ რედაქტორობს.
აღმართს ამოივლიდი, თუ შეისვენებდი,
გეტყოდა, მობრძანდიო, შიგნით, ბატონო!
ჰქონდა გამოხედვა დინჯი, ჭკვიანური
და პუდრშეფრქვეული ხშირ-ხშირი ნარბები.
აკომპანემენტით — სარეკელს ჭიანურით
ამოჰქონდა ჩიბუხში ჩატკეპნილი ამბები.
გვერდი თუ ეწოდა შუაცეცხლთან ქოთანს და
მნარედ თუხთუხებდა ბრაზმორეული.
ღარში ჩამწყვდეული ჭალა შფოთავდა
ალბათ აწუხებდა დარდი — მისეული.
სკამლოგინზე ეგდო ძველი ფარდაგი,
იქვე იდგა სუფრა და სკამი სამფეხა.
თაროზე თუნგული, ჯამი და ჭრაქი,
ცეცხლთან საკეცე და კეცის ნატეხალი.
პო, კიდევ თაროზე ციცხვი და როდინი,
კუთხეში გოდორი, გუდა და ხალამი.
... და ისხდნენ გლეხები ჯერის მოლოდინში
თავიანთ საფქვავით, თავის ჭირ-ვარამით...
— ... ჰოდა უთქვიაო, შენ ხარ ჩემ ბატონი,
რა ხართო, ვინ ხართო არც გთვლით სათვალავში.
— რაო, რა მინდაო, ვითომ უპატრონომ?
ბევრმა გვიბოროტა, მაგრამ ქე გადავრჩით.
— შიგნით თუ ვიმარჯვეთ, ვერავინ დაგვჯაბნის.
— ერთობას მართლაც რომ ბევრი შეძლებია!
— მგონია, გადარჩა დათიას ჯალაბი.
— მათიას მეშვიდე ვაჟი შეძენია.
— ეჰე, ჩამოთავდა! მგონია, მეშვეელა!
— ჰოდა რაღას უცდი, მიდი, დაარიგნე!
— კარს მოჩერებიან მშიერი ბოვშვები,
ჩქარა ამოდიო, ცოლმა დაარიგა.
... გარეთ ტანს იბანენ წყაროში ჩაფები,
მზეს გაფიცხებიან ჩირგვებზე კაბები.
უმასპინძლდებიან ერთმანეთს ქალები,
წისქვილში დაფქვილი ცხელ-ცხელი ამბებით.

მოგონებით გამხელილი სიყვარული

ალექსანდრე გომიაშვილის დაბადების 70-ე წლისთავის გამო



მაშინ ის ახალგაზრდა პოეტთა შორის ყველაზე პოპულარული იყო. იმდროიდელ ქართულ პოეზიაში მთის ახალი პოეტური სუნთქვა მოიტანა, რომაც ლიტერატუროით დაინტერეაებული ყველა მკითხველი გაახარა. ჩვენ, უკვე პიოველკურსელები, 1930 წლის შემოდგომაზე აღტაცებით ვლაპარაკობდით ალექსანდრე გომიაშვილი „ვაჟური ლექსების“ შესახებ, ვარჩევდით, ვაკამთობდით, ვიწონებდით, დაწუნებას კი ვერ ვაკერებდით, თუმცა ზოგიერთს პირველი წერილები უკვე დაბეჭდილი გვქონდა და ლიტერატურული გემოვნების პრობლემა ასე თუ ისე გვესმოდა. იყო მის ლექსებში რაღაც ძლიერი, მომზიდველი, ვიკაკაცური ხმა და ახლად გამოღვიძებული თუ ახლად ფეხადგმული სოციალისტური მთის გოლიათური შემართება. მისი ლექსი „ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა“ ჭაბუკი პოეტის დიდი გამარჯვება იყო.

ამ ლექსმა, როგორც იტყვიან, ალექსანდრე გომიაშვილი „დასახლა პოეზიაში“. მეორე დიდი წარმატება გახლდათ „შთების სარდალი“, რომელიც თეთნულდის დალაშქვრის 1929 წლის ტრაგედიის ძლიერი პოეტური გამოხმაურება იყო. რად ღირდა თუნდაც ლექსი „მაშინ სიმღერაც უნდა ჭგავდეს კლდეების ხლეჩას“, ან სიმღერები „არშაულა“, „არშის ღამე“, „დაბრუნება დაღესტანში“. ყოველივე ეს თითქოს გუშინ მოხდაო, ისე ცოცხლად შემორჩა გონებას.

იმ დროს ხშირად დავდიოდი მწერალთა კავშირში. ვეცნობოდი მწერლებს, რომელთა ნაწარმოებებიც წაკითხული მქონდა. პიროდი ნაცნობობა კი, გარდა დავით გაჩეჩილაძისა, ვიქტორ გაბესკირიასი, ბოხდო კეშელავასა და კიდევ ორიოდე მწერლისა, არ ჭოხდა. ძველი თაობიდან ვიცნობდი დავით კლდიაშვილს, პაოლო იაშვილს, კოლაუ ხადირაძეს, რაჟდენ გვეტაძეს, შალვა რადიანს, ბესარიოს ჟღენტს... ორჯერ თუ სამჯერ სიტყვითაც გამომვედი. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვახერხე ალექსანდრე გომიაშვილს გაცობა. თურმე მაშინ თბილისში არ ყოფილა. ეს გავიგე „ახალგაზრდა კომუნისტიდან“, რომელშიც მოთავსებული იყო „ყაზბეგელი გომიაანთ ბიჭის“ გაცხადება, რომ ის თავის ხმას აძლევს ამა და ამ ჯგუფს (მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში არსებული განხეთქილების გამო). სამაგიეროდ, „უშრომლად“ გავიცანი გიორგი შატბერაშვილი, გომიაშვილივით დამწყები, მაგრამ უკვე ნიჭიერ პოეტად აღიარებული.

როგორც იქნა გომიაშვილიც გავიცანი. ძალიან დავუთბლოგდით ერთმანეთს. მეგობრული სიყვარული უმალ გაიბა. ის ხშირად მოდიოდა უნივერსიტეტში, ხშირად ვარჩევდით როგორც მის, ისე სხვა პოეტების ლექსებს. შემდეგ, როცა „ახალგაზრდა კომუნისტში“ დავიწყე მუშაობა, სადაც წერილები მოვათავსე კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჩიქოვანის, ბორის ჩხეიძისა და სხვების შესახებ, გული მწყდებოდა, რომ საყვარელ მეგობარს, გარდა მოხსენიებისა, სპეციალური წერილი ვერ ძვუძღვენი:

მაგრამ სულ მალე სურვილი შემისრულდა.

1933 წლის 4 აგვისტოს „ახალგაზრდა კომუნისტიდან“ სამუშაოდ გადავედი „კომუნისტში“.

ერთ დღეს რედაქციაში შემოვიდა ალექსანდრე გომიაშვილი, ძოძიტახა ალალი ლექსების წიგნი, მითხრა, აკვალაში სამხედრო შეკრებაზე გამიწვიესო და წავიდა. რატომღაც გული დამწყდა. გადავწყვიტე პოეტის ახლად გამოცემულ ლექსების წიგნზე რეცენზია დამეწერა, „კომუნისტში“ გამომქვეყნებინა და არმიაში წასული ავტორი ამით გამეხარებინა. წერილი მართლაც დაიბეჭდა.

ალექსანდრე გომიაშვილი ჩემთვის მუდამ ახლობელი მეგობარი იყო. იმ დროს ბევრი მწერალიც მისი საშუალებით გავიცანი. როცა „ახალგაზრდა კომუნისტსა“ და „კომუნისტში“ ვმუშაობდი, უკვე ყველას ახლო ვიცნობდი, მიხდებოდა რედაქტორების დავალებით მათი ნაწერების დასაბეჭდად გამზადება, ამიტომ პირადი ბეხვედრები და ტექსტზე შეთანხმებანი.

იმ დღეებისა და წლების შემდეგ დიდმა დრომ განვლო. დავიწყებას არაფერი მისცემია...

და რა სასიხარულოა, რომ 70 წელს მიღწეული ალექსანდრე გომიაშვილი კვლავ მოუღლელი დგას ძველსა და ახალგაზრდა მწერალთა შორის, კვლავ ომახიანად უმღერის სამშობლოს, საყვარელ მთას, სადაც მისი აკვანი დაირწა, სადაც შემოქმედებითი თვალიც პირველად გაახილა, პირველი ლექსი აფრინა დედაქალაქში, რომელმაც მისი შემოქმედებითი ფანტაზიის ყვავილები, პოეტურ სტრიქონებად დალაგებული, მთელ ქართველ ხალხს გააცნო და შეაყვარა.

თითქოს ახლაც მესმის „დარიალის სიმღერებიდან“ გომიაშვილის ძველდროინდელი სტრიქონების მაყორი:

მთიელო ძმებო, თქვენ სიმღერა
მოგწყურდათ ისევ,
მაგრამ რა ვქნა, თუ ძველ
მოტივზე არ მეშლერება;
ოცდა ლაღუმი კლდის
ნაფლეთებს ხევებში ისვრის,
მაშინ სიმღერა არ სისინებს
ჩალის ღერებად, —
მაშინ სიმღერაც უნდა ჭგავდეს
კლდეების ხლეჩას,
რომ შეეთვიხოს „ამხანაგ მთას“
რიტმი ბადალი,
თორემ თუ ისევ სიმღერები
ძველ მოტივს შერჩა,
ანდეზიტივით ხად მოვნახოთ
ლექსის შადანი?-“

ეს იყო სრულიად ახალი სიმღერა, თემითაც და შთაგონებითაც ახალ ქართულ პოეზიაში, რომელმაც იმ დროს ასე ორგანულად შეითვისა გომიაშვილური ლექსები და ბალადები.

ორმოცდაათ წელზე მეტია ახლო მეგობრობა მაკავშირებს ალექსანდრე გომიაშვილთან ლიტერატურაში, საზოგადო მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში. როგორც მეგობარი, ის ნამდვილად მთიელია — ერთგული, გამტანი, პირდაპირი. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენი მეგობრობა შეუბღალავი, გაუბზარავი და უმწიკლო დარჩა!

გიორგი ჯიბლაძე.

გუდა ჰომინოიდის ნაცვლად...

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველმა იცის, რომ ამას წინათ ჰიმალაის მთებში გზას გაუდგა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მიერ ორგანიზებული ექსპედიცია, რომელიც როგორც ფართო ხაზოგადოებისათვის არის ცნობილი, „თოვლის ადამიანის“ პრობლემებს ეძღვნება. ჩვენ ვიუწყებოდით იმასაც, რომ ექსპედიციაში სხვებთან ერთად მონაწილეობს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი ა. იაკობაშვილი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ა. იაკობაშვილის მიერ ჰიმალაიდან გამოგზავნილ პირველ ცნობას.

ექსპედიციის მონაწილეები ერთ-ერთ ალპურ ბაზაზე შევიკრიბეთ. ექსპედიცია სამ ეტაპად ეწყობა, ჩვენ კი რიგით მეორე ეტაპის მონაწილეები ვართ და მალე პირველი ეტაპის წევრები უნდა შევცვალოთ. ექსპედიციას კარგად ეხმარება გაზეთ „კომსომოლეც ტაჯიკისტანის“ რედაქცია, რომლის დახმარებით ტაჯიკეთის ტერიტორიაზე ნამოვნი უნიკალური ნივთების ნახვა შევძელით.

1964 წელს აჯინ-ტეპეში არქეოლოგები წაადწყდნენ სამონასტრო კომპლექსის ნანგრევებს, რომელიც გამოკვლეის შემდეგ VII საუკუნის ბუდისტური მონასტერი აღმოჩნდა. აქვე მიაკვლიეს საინტერესო დარბაზებსა და სენაკებს.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს მოულოდნელად იპოვეს უზარმაზარი, 14-მეტრიანი ბუდა. საბჭოთა კავშირში მსგავსი ბუდა, ოღონდ გაცილებით მცირე ზომისა, მანამდე მხოლოდ ერთხელ იყო ნაპოვნი. წარმოიდგინეთ დაახლოებით ხუთსართულიანი სახლის სიმაღლის მამაკაცის ფიგურა, რომელიც სამარხში წევს. ეს ნამდვილი სამშენებლო ნაგებობაა. ჯერ დაუშვებიათ აგური ჩონჩხი, რომლისთვისაც გარს თიხა შემოუვლიათ, შემდეგ კი თიხიდან ბუდა გამოუძერწავთ.

ნაგებობის გადარჩენისთვის საჭირო გახდა სასწრაფო ღონისძიებების მიღება, რადგან ადგილობრივი მცხოვრებლები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ მის სანახავად და დანგრევით ემუქრებოდნენ. ამიტომ ბუდა გაბერეს და ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარესტავრაციო-ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში გადაგზავნეს. ახლახან რესტავრაცია დასრულდა და ძველს საგანგებო საექსპოზიციო პავილიონში გადასატანად ამზადებენ.

ძნელია გამოხატო შეგრძნება, როცა ხელში ქანდაკების უზარმაზარი, ნახევარმეტრიანი თითი გიჭირავს. ძალაუნებურად ფიქრობ ხალხზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე აგებდა მას. მაგრამ ყოველივე ეს წარსულში იყო, დღეს კი ბუდა უწყინარი ღიმილით წევს და გვაკვირვებს.

... ჩვენი ექსპედიცია კი ამ დროს აგრძელებს მუშაობას. ბრუნდებიან პირველი ეტაპის მონაწილენი. მე, უკრაინის გაზეთის „მოლოდ უკრაინის“ კორესპონდენტი ლენა იაშენკო და ორენბურგის გაზეთის „კომსომოლსკოე პლემიას“ კორესპონდენტი რაშიდ მუზტაროვი პირველები ვეგებებით მათ. ყველას მოლრუბლული აქვს სახე. ისევ ნაკვალევი, უცნაური ხმები, ღამღამობით ბუტბუტი, თითქოს მოკვლეულია „გომას“ (ასე უწოდეს მოფერებით ექსპედიციის წევრებმა „ჰომინოიდს“) ღამისსათევი ადგილი, მაგრამ დიდი ხნის ნანატრი შეხვედრა მაინც ვერ მოხერხდა.

„მე ჩამოვალ ერთი წლის შემდეგ, და მაინც შეეხვდებით ერთმანეთს“ — ასეთი სიტყვებით მიდიან პირველი ეტაპის მონაწილენი ბანაკიდან.

მეორე ეტაპი ხვალ იწყება. სპეციალური მანქანა საავტომობილო გზის დასაწყისამდე მიგვიყვანს, შემდეგ კი ბილიკებს ავუყვებით.

ა. იაკობაშვილი,
ექსპედიციის წევრი, „კომუნისტის“ სპეც. კორ.

„ჭაბუკები დარჩნენ მარად“

პიროზითად ახე ჰქვია ახალ ფერად შხატვრულ ფილმს, რომელსაც ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ იღებენ რეჟისორი მერაბ თავაძე და ოპერატორი დავით ხხირტლაძე.

ახალი ფილმი მოგვითხრობს შესანიშნავი ქართველი პოეტის, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის მირზა გელოვანის შესახებ, რომელიც დიდ სამამულო ომში დაიღუპა. მის როლს ასრულებს რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობი რევაზ ჩხიკვიშვილი, ფილმს იღებენ საქართველოში, შემდეგ კი გადაიღებენ აზერბაიჯანსა და ბელორუსიაში.

ფილმის ავტორები ფიქრობენ ახალი ფილმი გამოუშვან 1982 წლის მარტში, საქართველოს კომკავშირის ყრილობის გახსნის დღისათვის.

სურათებზე: მთავარ როლში — რევაზ ჩხიკვიშვილი; მიმდინარეობს გადაღება: მდინარის გადალახვა მტრის ცეცხლქვეშ; იღებენ მორიგ დუბლს.

თ. ბიბილურის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მიუხედავად დამარცხებისა

კალათბურთი. რიო-დე-ჟანეიროში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ასპარეზობა. ბოლო, მესამე მატჩი სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა ბრაზილიის გუნდთან გამართა და დამარცხდა — 73:76. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კალათბურთელებმა პირველი ადგილი მოიპოვეს. ზაგრების (იუგოსლავია) „ციბონამ“ მოუგო მექსიკის ნაკრებს — 103:102.

ტელევიზია

17 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილა ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე“, 18.00 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი“ — საფეხბურთო მოკლემეგრძელი ფილმი „ბეკერე“, 18.50 — განცხადებები, 18.55 — გადაცემა „ცვლა“, 19.25 — კამერული მუსიკის კონცერტი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“. 20.30 — მოკლემეგრძელი მხატვრული ფილმი, 21.05 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ალმა-ატის „ქაირათი“-თბილისის „დინამო“. 16 აგვისტოს მაგჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: მოსკოვის „სპარტაკი“-ლენინგრადის „ზენიტი“. მეორე ტაიმი (მ.), 23.20 — „მოამბე“.

მეორე პროგრამით: 18.35 — განცხადებები, 18.40 — საბელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“. მეექვსე სერია.

— ყაბახი

ფეხბურთის ამგვეგი

უმაღლესი ლიგა

გუშინ ოდესაში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეხუთე ტურის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ჩერნომორეცსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 3:1.

დღეს გაიმართება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების ოცდამეექვსე ტურის შეხვედრები. მოსკოვის „დინამო“ მიიღებს მინსკის „დინამოს“, „შახტიორი“ — ცსკას, „დნეპრი“ — „ტორპედოს“, „ფახთაქორი“ — „არარატს“, ასკ — „ყუბანს“, „ნეფთჩი“ — „ტავრიას“, „ყაირათი“— თბილისის „დინამოს“.

პირველი ლიგა

კუთაისში „ტორპედომ“ რომ პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეშვიდე ტურის მატჩი მასპინძლად მოუგო ვორონეჟის „ფაკელს“ (3:2), მკითხველმა უკვე იცის. რაც შეეხება ლენჩხუთის „გურიას“, მან გათამაშების ლიდერი — ხარკოვის „მეტალისტი“ (1:1) დაამთავრა. ოცდაშვიდი ტურის შემდეგ გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს ხარკოვის „მეტალისტი“ — 39 ქულა. ქუთაისის „ტორპედოს“ ახლა 30 ქულა აქვს და მეშვიდე ადგილიდან მეხუთეზე გადაინაცვლა.

„სიჭაბუკის თასზე“

თბილისში გრძელდება ფეხბურთელთა ფინალური ტურნირი „სიჭაბუკის თასზე“, გუშინ გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: უკრაინა-„შრომითი რეზერვები“ — 1:0, სომხეთი-ლიტვა — 2:0, მოსკოვი-საქართველო — 1:3.

ჩემპიონები საქართველოდან

კიდევ ერთი სახიხარულო ცნობა მოვიდა: ჯერ იყო და, მოსკოვში თბილისელმა ირინე გერასიმოვამ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა და ეს ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის. ამის შემდეგ ტელეტაიპმა თბილისელი იგორ კოსმინინის წარმატების ამბავიც გვაცნო. მან დომინგოს რესპუბლიკის დედაქალაქ სანტო-დომინგოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა. კოსმინინმა იუნიორთა ახალგაზრდობაში ისახელა თავი. იგი პენტამატური პისტოლეტით სროლაში უძლიერესი იყო — 879 ქულა.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაბუეგია.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

კვლავ ძიება, შრომა...

ამ წლის 1 ივნისიდან „კომუნისტში“ გამოვაქვეყნეთ ნერილი თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის მეათე კლასის მოსწავლე თემურ ენდელაძეზე. აღვნიშნავდით, თუ რა წარმატებები ჰქონდა მას თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის წრეში სწავლისას. თ. ენდელაძე ყოველწლიურად გამარჯვებული გამოდიოდა სასახლის მიერ მონყობილ რესპუბლიკურ კონკურსებში, ხოლო მისი, მეცხრეკლასელი მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევარი — ავტომანქანის საბურავის სრულიად ახალი ტექნიკური აღწერილობა საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკურმა საბჭომ საუკეთესოდ ცნო და კვალიფიცირებული იყო როგორც გამომგონება.

ჩვენ დავინტერესდით როგორ წარიმართა ნორჩი გამომგონებლის შემდგომი ცხოვრება. აი რა გვიამბო ამის შესახებ თემურის პედაგოგმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ქ. გიორგაძემ.

თ. ენდელაძემ 1975 წელს წარმატებით დამთავრა სკოლა და სწავლა გააგრძელა მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში საკონსტრუქტორო-მექანიკის ფაკულტეტზე ჰიდრავლიკისა და ჰიდროპნევმოავტომატიკის სპეციალობით.

თუ როგორი მიღწევები ჰქონდა თემურს ინსტიტუტში, ვიგებთ ფაკულტეტის დეკანის ვ. ი. სტრელცოვის მიერ სასახლის სახელზე გამოგზავნილი დახასიათებიდან, სადაც ნათქვამია, რომ თ. ენდელაძემ თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდამ და აქტიურმა საზოგადოებრივმა მუშაკმა. იგი სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს სტუდენტურ ოლიმპიადაზე, რომლებიც იმართებოდა მეცნიერული კომუნიზმის, მათემატიკის, ფიზიკის, მხაზველობითი გეომეტრიის, ელექტროტექნიკის დარგებში და ყოველთვის გამარჯვებულთა შორის იყო.

1978 წელს თ. ენდელაძე გახდა სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრი და მის მიერ წაკითხული მოხსენება მომზადდა სამეცნიერო კრებულში დასაბეჭდად.

თ. ენდელაძე მონაწილეობდა აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითს კონკურსებში და სიგელებსაც იმსახურებდა. შარშან გაზაფხულზე თბილისში გამართულ სტუდენტთა აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე თ. ენდელაძე გამოვიდა მოსკოვში სასწავლებლად გაგზავნილ სტუდენტთა და ასპირანტთა სახელით. მან თქვა, რომ მისი და ამხანაგების ძირითადი მიზანია რესპუბლიკას დაუბრუნდნენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად.

თემურმა წელს წითელი დიპლომით დაამთავრა ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. მისი სადიპლომო შრომა დაცვის შემდეგ საკონკურსო გახდა და ეს საფუძველად დაედო მეცნიერულ შრომას, რომელზეც იგი ინსტიტუტში აგრძელებს მუშაობას.

ლ. ხუბულური.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სასწავლო-საექსპერიმენტო მეურნეობის საგუნარი მიიღო გრიგოლ ჯამალაშვილმა ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის აქ შექმნილი შტაბის პირველ სხდომაზე.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული სავეტერინარო ფაკულტეტზე აბარებდა გამოცდებს, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა. მიუხედავად ამისა, როცა საბუთებს უბრუნებდნენ, მას არ გამოთხოვებიან.

გრიგოლსა და სხვა აბითურიენტებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მოხვდნენ, ესაუბრა ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გ. აგლაძე.

— უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი აბითურიენტი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდება, — ასეთი მიზანი აქვს დასახული შტაბს, რომელიც უმაღლეს სასწავლებელთან შეიქმნა. — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში პროფესორმა გ. აგლაძემ. — წელს რვაასამდე ახალგაზრდა მოდიოდა ორას ვაკანტურ ადგილზე. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ უმაღლესობას შეადგენენ სოფლის მკვიდრნი, რომლებიც განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს დაუბრუნდებიან. ხოლო იმათ, ვინც გამოცდების კონკურსში ვერ გავა, ვცდილობთ შესაფერისი სამუშაო მოვუძებნოთ. ჩვენ სამუშაოზე ვაწყობთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს და შემდეგაც ყურადღებით ვადევნებთ მათ თვალს, შევთავაზებთ შემოვიდნენ ჩვენს მოსამზადებელ კურსებზე, როცა პრაქტიკული ჩვევები ექნებათ, აღარც თეორიის დაუფლება გაუჭირდებათ.

კულტურის სახლის სცენაზე

ოზნი (საკ. კორ.). სულ ახლახან რაიონული კულტურის სახლის სცენა დაეთმო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივს, რომელმაც წარმოადგინა საცირკო-საესტრადო დადგმა „პატარა გულივერი“.

ამ დღეებში კი კულტურის სახლმა გორის ახალგაზრდულ თეატრს უმასპინძლა. სტუმრებმა მაყურებელს უჩვენეს სპექტაკლი „უცნაური ქორწილი“.

შემოხვევა

რამ ჩამოგაგდო გარადა?

ბორჯომი. (საკ. კორ.). შუაღამისას ტყიდან გამოვარდნილი შველი გზაზე შედგა და გაშეშდა. ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოახერხა, ისე დააბრმავა მისკენ სწრაფად მომავალმა მანქანის შუქფარებმა.

მძღოლმა თუმცა ენერგიულად დაამუხრუჭა მანქანა, შეჯახება მაინც მოხდა. საბედნიეროდ, მანქანა „სასწრაფო დახმარებისა“ იყო და რაიონულ საავადმყოფოში მიყვანილ უჩვეულო „პაციენტს“ ჩვეული გულისყურით შეხვდნენ... ჭრილობები შეუხვიეს, მალამო დაადეს და რამდენიმე დღის შემდეგ ბუნების ეს მშვენიერი არსება ბორჯომის ტყეებს დაუბრუნეს.

საქართველოს ᲙᲞᲐ-ის ᲪᲙ-ის ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲘᲡ